15/07/2024

ბოლნისის მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა ეპარქიის სასულიერო პირები დააჯილდოვა

2024 წლის 12 ივლისს ბოლნისის მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) ბოლნისის ელიას მთის წმინდა მოციქულთა თავთა, პეტრე და პავლეს სახელობის მამათა მონასტერში გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა აკაურთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ბასილ ახვლედიანი, ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ნიკოლოზ გაბიძაშვილი და რაჭისუბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი მიქაელ დურგლიშვილი.

აქსიოს! ვულოცავთ მამებს, უფალმა ღირსეულად ამსახუროს ეკლესიის საკეთილდღეოდ.

sazu.ge